ზოგადი სტატისტიკა 2022 წლის პირველი კვარტალი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში 2022 წლის პირველ კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული იქნა სულ 77 მოთხოვნა, საიდანაც დაკმაყოფილებულ იქნა 74 განცხადება, 3 მოთხოვნაზე ეთქვათ უარი (მოთხოვნილი იყო ინფორმაცია, რომელიც არ შედიოდა ცენტრის კომპეტენციაში), საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნებს ადგილი არ ჰქონია; - კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული; - საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული; - საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა. პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე გადაწყვეტიელება არ ყოფილა მიღებული; საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდას ადგილი არ ჰქონია.